

## საქართველოს კანონი

### „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N29, 27.07.2007, მუხ. 315) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ პუნქტი:

„ზ) ხარვეზი – წარმოდგენილი დოკუმენტის ამ კანონით მოთხოვნილ ფორმასთან შეუსაბამობა ან ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი ცალკეული დოკუმენტის სათანადო წესით დამოწმებული თარგმანის არ არსებობა.“

2. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

3. მე-5 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების შესახებ განაცხადის წარდგენისას განაცხადში ან/და თანდართულ დოკუმენტებში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში სამინისტრო ან წარმომადგენლობა ამის თაობაზე აცნობებს განმცხადებელს, რათა აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულ იქნეს ოთხ თვემდე ვადაში.“

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თუ განმცხადებელი ოთხი თვის ვადაში ვერ წარმოადგენს ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ განაცხადს ან/და დოკუმენტებს უხარვეზოდ, განმცხადებელს უბრუნდება უკვე წარმოდგენილი დოკუმენტები.“

4. მე-9 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, რეპატრიანტმა საქართველოში გამომგზავრებამდე 1 თვით ადრე წარმომადგენლობაში უნდა

წარმოადგინოს საქართველოს მთავრობის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტის დადგენილი ფორმის შესაბამისად ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.”

ბ) მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნას.

5. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

6. მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 1 აპრილამდე მიიღოს დადგენილება „რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთათვის საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების შესახებ“, რომელიც გამორიცხავს რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირის მოქალაქეობის არმქონე პირად დარჩენას. აღნიშნული დადგენილების პროექტის მომზადება უზრუნველყოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ.“

7. მე-11<sup>1</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11<sup>1</sup>. გარდამავალი დებულება

ამ კანონის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტით და მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი ვადები განისაზღვროს 2010 წლის 1 იანვრით.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი